სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შშმ/სსსმ
სტუდენტების მხარდამჭერი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № 21 1.12.2023 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/

თელავი
2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) შშმ/სსსმ სტუდენტების მხარდამჭერი ცენტრი (შემდგომში – ,,ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი

ა) **შშმ/სსსმ** სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა და იდენტიფიცირება;
ბ)საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის/სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების პროცესში;
გ) **შშმ/სსსმ** სტუდენტების უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური, ადამიანური, ფიზიკური და მატერიალური რესურსებით;
დ) განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად სტუდენტების მხარდაჭერა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებაში;
ე) საუნივერსიტეტო განათლებით უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის გაზრდა;
ვ) საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართება;
ზ) დახმარება აკადემიური სირთულეების დაძლევაში;
თ) საუნივერსიტეტო ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება.

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის ამოცანაა უზრუნველყოს შშმ/სსსმ სტუდენტებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რაც უზრუნველყოფს სწავლების ყველა საფეხურზე მათ ჩართულობას, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სტუდენტურ ღონისძიებებში.
2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი ფუნქციებია:
ა) საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტთა მოწვევა და შშმ/სსსმ სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება (იმის დასადგენად გარემოს და სასწავლო მასალის როგორი ცვლილებებია საჭირო);
ბ) სწავლებისა და შეფასების ადაპტირება (საჭიროებისას სსსმ სტუდენტისათვის ცალკე საგამოცდო ოთახის გამოყოფა, გამოცდის ელექტრონულ ფორმატში -

კომპიუტერით ჩაბარება; საგამოცდო დროის გაზრდა; განათების მორგება, გამადიდებელი მოწყობილობა და სხვა);

გ) შშმ/სსსმ სტუდენტების მხარდაჭერა საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციაში (ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები, გაზრდილი შრიფტით დაბეჭდილი საგამოცდო ტესტები თუ სასწავლო მასალა და სხვა), გარემო-პირობების (მათ შორის ელექტრონული სწავლების) შეთავაზება, სტუდენტების შეუფერხებლად ჩართვისათვის სასწავლო პროცესში;

დ) აკადემიური პერსონალის კონსულტირება და პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა შშმ/სსსმ სტუდენტების სწავლებისა და შეფასების, სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპების კურიკულუმებში დანერგვის მიმართულებით;

ე) ზრუნვა და რეკომენდაციების შემუშავება შშმ/სსსმ სტუდენტთა სწავლების, სტუდენტურ ღონისძიებებში ჩართვისა და შესაბამისი გარემოს მოწყობის შესახებ.

მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს და სხვა თანამშრომლებს ნიშნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთნ შეთანხმებით.
2. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის თანაშემწე.
3. ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელის თანაშემწე და კონსულტანტი/ები.
4. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით, ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. ცენტრის თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, წინამდებარე დებულებაში განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.

მუხლი 5. ცენტრის ხელმძღვანელი

ა) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

ბ) წარმართავს ცენტრის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

გ) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;

დ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ან/და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

ზ) ორგანიზებას უწევს ცენტრის ეფექტიანი მართვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა აუცილებელ საქმიანობას.

თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 6. ცენტრის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა

6.1. ხელმძღვანელის თანაშემწე:

ა) უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინირებულ მუშაობას;

ბ) აქტიურად მონაწილეობს ცენტრის საქმიანობაში;

გ) პასუხისმგებელია ცენტრის ხელმძღვანელის მიერ გაცემული მითითებების შესრულებაზე;

დ) ახორციელებს მონიტორინგს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე;

ე) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

6.2. ცენტრის კონსულტანტ(ებ)ი:

ა) კონსულტანტი/ების მოწვევა ხდება ცენტრის ხელმძღვანელის მიერ მიმდინარე პროექტების საჭიროებისა და მოთხოვნის მიხედვით;

ბ) კონსულტანტი/ები უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართულების კვალიფიციურ საკონსულტაციო მომსახურეობას, რომლის პირობებიც გაწერილია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/